საკონკურსო განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს-ქ. მცხეთაში, არმაზის დასახლებაში, ნარეკვავის დასახლებაში, სოფ. ქანდაში, სოფ. ძეგვში, სოფ. წეროვანში და სოფ. წილკანში (სელექციის დასახლებაში) მრავალსართულიანი 25 საცხოვრებელი კორპუსების გადახურვის, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას კონკურსანტი პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

საპროექტო დოკუმენტაცია:

1 ფოტო მასალა არსებული სიტუაციის
2 განმარტებითი ბარათი;
3. სიტუაციური რუქა 1:2000 მასშტაბი;
4. შენობის ზუსტი აზომვითი ნახაზი;
5. სახურავის მოწყობის სქემატური გეგმა;
6. სახურავის მოწყობის კონსტრუქციული ნაწილი
6. საინჟინრო-კონსტრუქციული გადაწყვეტილება სახურავის მოწყობასთან დაკავშირებით (განმარტებითი ბარათი, ნახაზები, სპეციფიკაცია);
7. სამუშაოთა ორგანიზაცია;
8. მოცულობათა უწყისი;
9. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის კონკურსანტი პირი იხდის საფასურს

-50 ლარს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს ბანკ „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101757

მიმღები: ს.ს.ი.პ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში №10591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

1. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
2. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
3. კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
4. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადებია გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღე, ხოლო წინადადებების განხილვიდან 5 დღეში უნდა წარმოადგინონ „წინა ესკიზური პროექტები", საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინანადების ფასი, საბოლოოდ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად და პლიუს ელექტრონული ვერსია, ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასრულებული პროექტები.

საკონკესო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებული პირობებით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების საერაუდო ღირებულებაა 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი.

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის №73
ტელ: 51-26-96